

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N29 საცხოვრებელი სახლის  
N9 ბინაზე, მოქალაქე გოჩა ბაბუნაშვილისათვის საკუთრების  
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ირაკლი აბაშიძის გამზირი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაში მცხოვრები მოქალაქე გოჩა ბაბუნაშვილის განცხადება /2013 წლის 22.04 Nზ-3411/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N29 საცხოვრებელი სახლი N9 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გოჩა ბაბუნაშვილს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N29 საცხოვრებელი სახლის N9 ბინაზე /საერთო ფართობი 60,27 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,35 კვ.მ, დამხმარე ფართობი 24,92 კვ.მ./ მოქალაქე გოჩა ბაბუნაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი